# სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

7 მარტი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 41 (104 54) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საკავშირო ჩემპიონატები კალათბურთში

**„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 100:80 (48:30).**

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 5 მარტი.**

**„დინამო“: უსტიაშვილი, გოგუა, ბარამძე, სანაძე (22), თორთლაძე (9), შენგელია (16), ფერიაშვილი (14), ბაქრაძე (14), დაუშვილი (10), ცხვედიანი (15).**

**„ლოკომოტივი“: ბელოზეროვი (4), ბაბკოვი (28), გნიდინი, ბულანცევი (8), ნაუმოვი, გერასიმოვი (13), ბერდნიკოვი (9), გრეზინი (12), ბოგდანოვი (6).**

**მსაჯები ფ. მაიოროვი (მოსკოვი) და ვ. ზაქოიანი (ერევანი).**



**ნოვოსიბირსკელთა** გუნდი ერთ-ერთი საშუალო სიძლიერის გუნდია, მაგრამ გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით, ყველა შეხვედრისას ბოლომდე იბრძვის და იოლად არ ყრის „ფარ-ხმალს“. კოლექტივს აქვს შანსი ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში დაიკავოს მეოთხე ადგილი. თბილისელები, მოგეხსენებათ, ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან.

პირველი ტაიმის მერვე წუთამდე მოედანზე თითქმის თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ დარჩენილ დროში დინამოელებმა ტემპს უმატეს და ტაიმიც 18 ქულის სხვაობით მოიგეს — 48:30. დროის ამ მონაკვეთში დაცვაში კარგად ითამაშა ირაკლი ბაქრაძემ, რომელმაც პირველ ნახევარში 14-ჯერ ჩაჭრა მეტოქეთა გადაცემა.

შესვენების შემდეგ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეორე ტაიმში თბილისელები კიდევ უფრო დაწინაურდებოდნენ, მაგრამ მოხდა საპირისპიროდ, მეორე ნახევარი მათ ზედმეტი თავდაჯერებულობით დაიწყეს; ამასთან, მოქმედებდნენ ნელა, ბევრი იყო არაზუსტი ტყორცნები, რითაც კარგად ისარგებლა მეტოქემ და ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა. ჩვენმა კალათბურთელებმა იგრძნეს, რომ ასეთი თამაში კარგს არაფერს მოუტანდათ და ათამაშდნენ სწრაფად, ეფექტური გახდა მათი შეტევები და მატჩი ოცი ქულის სხვაობით მოიგეს — 100:80.

აქვე გაუწყებთ, რომ „დინამოს“ შეხვედრების კალენდარში ცვლილებაა: მორიგ თამაშს ჩვენი გუნდი 16 მარტს ჩაატარებს და უმასპინძლებს რიგის ასკ-ს, ბოლო მატჩი მინსკის რტი-სთან 13 მარტის ნაცვლად გაიმართება 19 მარტს.

**გია ბურდული**

### გუშინ...

**ბავშვთა კალათბურთის სასახლეში საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა უმასპინძლა პენზის „სპარტაკს“. ანგარიშით 72:64 (35:33) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.**

**ჩვეულებისამებრ**, ცხენოსნობაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასის ტრადიციული გათამაშება გაზაფხულის პირას დელისის იპოდრომზე იმართება და, უნდა ითქვას, რომ მის მონაწილეებს ქარიანი მარტი არ ანებივრებდა ხოლმე. და მაინც, მხედრები უამინდობას არ ეპუებოდნენ და ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა ასპარეზობა. მაგრამ მარტმა ამჯერად მართლაც „იმარტა“ და ცხენოსნებიც და თავიანთი ოთხფეხა მეგობრებიც იქვე მდებარე დახურულ მანეჟში „შერეკა“. დიდთოვლობის გამო სომხეთმა ვერც ცხენების ტრანსპორტირება მოახერხა და ეს რესპუბლიკა გამოაკლდა თასის პრეტენდენტთა რიგებს.

ასპარეზობის პროგრამაშია სამეჯიდი ახალგაზრდა და უფროსი ცხენების მონაწილეობით, კონკური, ცხენის გაწვრთნა.

• • •

**მშვილდოსანთა** ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეთ კი ამინდის პრობლემა იმდენად არ აწუხებთ. მათ ვაკის მძლეოსნურ მყუდრო მანეჟში (თუმცა იქაც საკმაოდ ცივა) „დაიდეს ბინა“.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

## ტურნირები და შედეგები

● **ავტომობილიზმი.** კოკიხპირულმა წვიმამ, რომელიც შეჯიბრების წინა ღამეს მოვიდა, საგრძნობლად შეუშალა ხელი „გრან პრი პორტუგალიის“ რალის ყველა — ახთოთხმეტ მონაწილეს. ლიხაბონის ხელ ქუჩებზე სხვებზე უკეთ იარეს და ამით ერთხელ კიდევ დაადასტურეს მართვის უმაღლესი ტექნიკა მსოფლიო ჩემპიონმა, ესპანელმა კარლოს საინსმა („ტოიოტა“) და მისმა ბოლოდროინდელმა მეტოქემ ფინელმა მარკუ ალენმა („სუბარუ“). ფინიშის შემდეგ ორთავეს ერთნაირი დრო — 1 წუთი და 42 წამი აღმოაჩნდა. ერთი წამი წააგო ამ დუეტთან ინტერნაციონალურმა ტრიომ იტალიელი მიკი ბიაზიონის, ფინელი იუსა კანკუნენისა და ფრანგი დიდიე ორიოლის. შემადგენლობით, რომლებიც ერთი გუნდის — „ლანჩას“ ღირსებას იცავენ.

● **აფროსნობა.** ერთადგილიანი იალქნიანი ნავებით მსოფლიოს გარშემო რბოლის „ბოკ ჩელენჯის“ მესამე ეტაპზე (სიდნეი — პუნტა-დელ-ესტე) ლიდერობას ინარჩუნებს ფრანგი ალენ გოტიე, თავისი ნავით — „ჟენერალ კონკორდით“. ეტაპის ფინიშამდე ჯერ კიდევ 187 საზღვაო მილი დარჩა გასავლელი. მეორე ადგილზეა ლიდერის თანამემამულე კრისტიფ ოგენი („ერუპ სეტა“), მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ჯერ-ჯერობით უცნობია, ვინაიდან აფროსანს დაუზიანდა რადიოგადამცემი და თავის ზუსტ „მისამართს“ ვერ იძლევა, მესამე ადგილზეა ავსტრალიელი დევიდ ადამსი („ინკიპერი“), რომელიც ლიდერს 187 საზღვაო მილით ჩამორჩება.

● **ჩოგბურთი.** აშშ-ს ამ ქალაქში გრძელდება „ვირჯინია სლიმზის“ სერიის საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 500 ათას დოლარს შეადგენს. მეორე წრეში შტეფი გრაფს არ გამოუცხადა მეტოქე — შვედი სესილი დალმანი. გერმანელი ჩოგბურთელი უბრძოლველად გავიდა მესამე წრეში. ამავე წრეში იასპარეზებენ, აგრეთვე, არგენტინელი გაბრიელა საბატინი (რომელმაც ამერიკელ ერიკი დე ლოუნს მოუგო — 6:2, 6:2), გერმანელი კლაუდია პორეიკი (დაამარცხა ესპანელი კონჩიტა მარტინესი — 2:6, 7:5, 6:4) და ნატალია ზვერევა (აჯობა ფრანგ კატრინ სიუირს 7:6, 6:4).

● **სათხილამურო რბენა.** მსოფლიოს 1991 წლის თასისთვის ბრძოლაში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა: ქალები. 1. ელენა ვიალბე (სსრკ) — 170 ქულა, 2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 107, 3. ლიუბოვ ეგოროვა (სსრკ) — 99. ვაჟები. 1. ვლადიმერ სმირნოვი (სსრკ) — 150 ქულა. ორჯიდელთა შეჯიბრებას ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი, ნორვეგიელი ფრედ-ბიერე ლუნდბერგი — 100 ქულა. მეორე ადგილზეა თასის ახლანდელი მფლობელი კლაუს ზულცენბაპერი (ავსტრია) — 85 ქულა.

## ცხადდება კონკურსი

### საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში „ნონა-50“

**საქართველოს** სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ ქადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს ეტიუდების შედგენაში.

კონკურსი ჩატარდება ორ განყოფილებად — ეტიუდები მოგებაზე და ეტიუდები ყაიმზე. თითოეულ განყოფილებაში დაწესებულია 5-5 ფულადი პრიზი: შესაბამისად 1000, 800, 600, 400, 200 მანეთი. დაწესებულია აგრეთვე წამახალისებელი ფულადი პრემიები.

ორიგინალური ნაწარმოებები 3-3 ეგზემპლარად იგზავნება 1991 წლის 1 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: 380019, თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი 95-ა, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო. კონვერტზე წარწერით — „ნონა-50“.

ნამუშევართა შესაფასებლად შექმნილია ჟიური ნ. გაფრინდაშვილის, რ. თავარიანის, ო. ალხანიშვილის შემადგენლობით.

## ლელოელთა პოზიცია

**სპორტული** ჟურნალისტები სამართლიანად მოითხოვენ დამოუკიდებელი პროფესიული ფედერაციის შექმნას. ასეთი ფედერაცია თავად გადაწყვეტს ყველა საკითხს თუ პრობლემას, რაც ჩვენს საქმიანობაში წამოიჭრება. გაეცნო რა ცალკეულ პუბლიკაციებს, „ლელოს“ შემოქმედებითი კოლექტივი მხარს უჭერს ყველა კონსტრუქციულ წინადადებას; ამასთან, გააჩნია რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება, კერძოდ: იმისათვის, რომ დაჩქარდეს დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნა, უმჯობესია სრული ლიკვიდაცია გამოაცხადოს ძველმა ფედერაციამ, ამთავითვე შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ახალი და დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას. ჯგუფი, ფაქტობრივად, დაასრულებს იმ სამუშაოს, რაც დამოუკიდებელი ფედარაციის შექმნისათვის არსებულმა ფედერაციამ დღემდე გასწია (შეგახსენებთ, რომ მზადაა დამოუკიდებელი ფედერაციის წესდება, რომლის შემუშავებას რამდენიმე თვე დასჭირდა). საინიციატივო ჯგუფი მოამზადებს ახალი ფედერაციის დამფუძნებელ კონფერენციას, საბოლოოდ დახვეწს შემუშავებულ წესდებას ან შეიმუშავებს სრულიად ახალ პროექტს. ცხადია, ფედერაციის ხელმძღვანელი ბირთვი — პრეზიდიუმის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს უნარიანი და ავტორიტეტული წევრებით.

**„ლელოს“ შემოქმედებითი კოლექტივი**


ეროვნული ბიბლიოთეკა




## 113 ჯაიმი და ძველი უეფარდება

**ლინარესი** (ესპანეთი). როგორც ვიუწყებოდით მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მერვე ტურის ცენტრალური პარტია მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვისა და ექსჩემპიონის ანატოლი კარპოვის 156-ე შეხვედრა იყო, რომელსაც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მთელი ესპანეთი, დარბაზში შეკრებილნი შეუპოვარ, უკომპრომისო ბრძოლას მოელოდნენ ორთავე მხრიდან, უფრო მეტად კი კარპოვისაგან, რომელსაც თეთრებით უნდა ეთამაშა. იმ ძუნწი ცნობების თანახმად, რომლებიც ოფიციალური არხებით მივიღეთ, შეხვედრა მართლაც მძაფრად წარმართულა, მაგრამ ბოლოს მაინც ფრედ დამთავრდა. ასე რომ ძალათა ძველი თანაფარდობა ძალაში რჩება. ჩემპიონის სასარგებლოდაა 23 მოგებული პარტია, ექსჩემპიონის სასარგებლოდ — 20. ერთით გაიზარდა ყაიმების რაოდენობა და ბოლოს მან 113-ს მიაღწია.

რვა ტურის შემდეგ კასპაროვი 5 ქულით ისევ მესამე ადგილზეა და ლიდერს, ალექსანდრე ბელიავსკის ქულანახევრით ჩამორჩება. ამ უკანასკნელმა ბოლო შეხვედრა თეთრებით იან ტიმანს მოუგო. ბელიავსკის 6,5 ქულა აქვს, ვასილი ივანჩუკს კი, რომელმაც შავებით ვიშვანატან ანანდს აჯობა — 6 ქულა.

სხვა მატჩები დამთავრდა ასეგატა კამსკი დამარცხდა ჯონათან სპილმენთან, იან ელვესტმა მოუგო ბორის გელფანდს. ყაიმით დაფიქსირდა მიხეილ გურევიჩ-ვალერი სალოვისა და ლიუბომირ ლიუბოევიჩ-არტურ იუსუპოვის პარტიებში.

ლიდერთა სამეულის მდგომარეობის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ. მათ მიჰყვებიან: ლიუბოევიჩი და იუსუპოვი — 4,5-4,5 ქულა, ანანდი, სპილმენი, ტიმანი — 4-4, გურევიჩი და კარპოვი 3,5-3,5, ელვესტი, გელფანდი და სალოვი —3-3, კამსკი — 1,5 ქულა.

### ყველას ხომ ერთი გადია გვუყვდა...

# სწორი არჩევანი

## ანუ „კალათბურთს თამაშოვდით, ხომ?“

**ᲛᲘᲮᲘ** . ოჯახი მაშინ მთაწმინდაზე ცხოვრობდა. პატარა ბიჭი იყო, მოძრავი, მოუსვენარი და, როგორც უბნელთა უმრავლესობა, მოზღვავებულ ენერგიას ისიც სპორტში ხარჯავდა. ჯერ ფეხბურთს მიჰყვა, მერე — ფრენბურთს; ერთხანს ჭიდაობაშიც სცადა ძალა; კრივი ხომ მაშინდელი თბილისური უბნების კოლორიტი იყო. არც ხალხური თამაშები — ლახტი და ჩიკორი ყოფილა მისთვის უცხო ხილი.

ვაჟთა I საშუალო სკოლაში სწავლობდა, ყველა საგანს ერთნაირი ინტერესით ეკიდებოდა, ფიზკულტურის გაკვეთილს კი მაინც სხვა ხალისი მოჰქონდა. ასეა, სპორტის რომელ სახეობასაც ფიზიკურდის მასწავლებელი მისდევს, ბავშვებსაც ის უფრო იტაცებთ ხოლმე. მალე შეამჩნია მარდი და ხალასი უმაწვილი მასწავლებელმა, ტანმოვარჯიშე შალვა ფანცულიძემ და სკოლის ტანვარჯიშის სექციაში დააწყებინა ვარჯიში. რამდენიმე თვეში ისე დაეუფლა ტანვარჯიშულ ილეთებს, ქალაქის ჩემპიონი გახდა და III თანრიგიც მოიპოვა. წარმატება წარმატებას მოსდევდა და სულ მალე ვახტანგ ანანიაშვილი ტანვარჯიშში პირველ თანრიგოსანი გახდა...

ვიდრე ანანიაშვილების ოჯახს ვესტუმრებოდი, რედაქციაში „ძველებს“ კიდევ ერთხელ ვკითხე ბატონი ვახტანგის სპორტული წარსულის შესახებ. კარგი კალათბურთელი იყო, სასიამოვნო მოსაუბრეა და დანარჩენს თვითონ გიამბობსო, მითხრეს. ამ ოჯახში სტუმრობა აღრეც მინდოდა, მაგრამ, მაშინ მის სხვა წევრთან, ჩვენს სახელგანთქმულ ბალერინასთან — ნინო ანანიაშვილთან მსურდა ხუბარი. რაც რედაქციაში მუშაობა დავიწყე, ბევრჯერ გამიხედავს ბელინსკის ქუჩაზე გამომავალი ძველებური აივნისკენ — იქნებ თვალი მომეკრა ამ ფერიასავით გოგონასთვის. თუმცა, ახლა ამის გამო გულდაწყვეტილი მაინც არ დავრჩენილვარ. მართლაც, ტკბილად მოუბარი აღმოჩნდა ბატონი ვახტანგი. ის, რაც დასაწყისში გიამბეთ, ვახტანგ ანანიაშვილის სპორტული ცხოვრების აისი გახლავთ და ამიტომ განსაკუთრებული სითბოთი სწორედ ის წლები გაიხსენა.

**● ბატონო ვახტანგ, კალათბურთმა, როგორც ჩანს, შედარებით გვიან გიგიტაცთ?**

— მეცხრე კლასს ვამთავრებდი, კალათბურთი პირველად რომ ვნახე. ჩემი თანაკლასელი ოთარ აფაქიძე უკვე დადიოდა პიონერთა სასახლის კალათბურთის სექციაში, სადაც მწვრთნელად საოცრად გულთბილი ქალი, ნამდვილი პედაგოგი თამარ გეგელაშვილი მუშაობდა. მისი დამსახურება გახლდათ, იმდროინდელი თბილისის ყმაწვილობა ასე რომ იყო კალათბურთით გატაცებული. სწორედ ოთარ აფაქიძემ გვითხრა მე და გივი რუხაძეს: მოწაფეებს შორის კალათბურთში ქალაქის პირველობა ტარდება, პირველი სკოლიდან მარტო მე, გურამ გიგინეიშვილი და დევი სტურუა დავდივართ, თქვენც რომ დაგვემატებოდეთ, ჩვენი სკოლის სახელით გამოვალთო. არადა, კალათბურთის ბურთი თვალითაც არ გვქონდა ნანახი, წესებსა და ტექნიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაინც დავთანხმდით. ჩვენი მოვალეობა უბრალო იყო: უნდა ვმდგარიყავით უკან და მეტოქეთათვის ბურთის მიღების საშუალება არ მიგვეცა. ნახტომი კი მეც და გივისაც, კარგი გვქონდა.

პიონერთა სასახლესთან ახლოს, სულხან-საბას ქუჩის მიდამოებში ძველი სპორტული დარბაზი იყო. იქ ტარდებოდა ქალაქის პირველობაც. მივედით ჩვენც ასპარეზობაზე, ოთარმა ორივეს „მოგვამაგრა“ მოწინააღმდეგე, რომელიც უნდა „დაგვეჭირა“. თამაშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ორ ბიჭს საშუალება არ მივეცით, ბურთი მიეღოთ და ნერვებიც გვარიანად მოვუშალეთ. მოკლედ, ისე გავხდით მე და გივი რაიონის ჩემპიონები, საკუთარ საჯარიმოს არ გავცილებივართ. გადაწყდა — კალათბურთზე უნდა გადავსულიყავი. უკან რჩებოდა ტანვარჯიშული იარაღები, ჩემი შალვა მასწავლებელი. ვატყობდი, სპორტული თამაშები ჩემ სტიქია იყო. ამ დროისათვის ტანვარჯიშში ქალაქის ჩემპიონობა მოვიპოვე, მაგრამ გულმა მაინც კალათბურთისკენ გამიწია. ასე გადავედი მეათე კლასში ორგზის ჩემპიონი სპორტის განსხვავებულ სახეობებში.

**● სულ მალე საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდით მოსწავლეთა შორის. ამჯერად უკვე „შტატიანი“ კალათბურთელი იყავით...**

— სექტემბერში, მეათე კლასში რომ მივედით, ოთარ აფაქიძე შემოგვიჩნდა; შეამჩნია, კარგი ნახტომი რომ გვქონდა ორივეს და ოქტომბრის დასაწყისში ჩვენც თამარ გეგელაშვილს მიგვგვარა. ამ სექციაში ბევრი მოზარდი დადიოდა, ჩვენ კი ისე მალე ავითვისეთ წესები და ტექნიკა, რამდენიმე თვის შემდეგ სამივენი თბილისის ნაკრების წევრები გავხდით. ცოტა ხანში რესპუბლიკის ნაკრებში აგვიყვანეს და პირველ ტურნეში ლენინგრადში გავემგზავრეთ. 1947 წელი იდგა. ლენინგრადი დანგრეული დგგეგზვდა, ჯერ კიდევ წიგნაკების პერიოდი იყო (კარგად მახსოვს, იმ წელიწადს, 26 დეკემბერს მაღაზიები ცარიელი იყო, 27-ში კი ყველაფერი ერთბაშად დახვავდა. რა მოხდა, ახლაც ვერ ამიხსნია. ეს ისე, სიტყვა გამექცა). მაგრამ ლენინგრადმა მაინც ღირსეულად გვმასპინძლა. კარგი კვება გვქონდა; იმდენი შოკოლადი მოგვცეს, თბილისშიც წამოვუღეთ ნაცნობ-მეგობრებს. მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე ჩვენს ნაკრებს წარმოშობით ლენინგრადელი ალექსანდრე ელენსკი წვრთნიდა. რადგან, „ბიძია საშას ბიჭები“ ვიყავით, და მის ქალაქს ვსტუმრობდით, განსაკუთრებული სიმპათიით გვეპყრობოდნენ. ვინ იყო მაშინ ჩემთან ერთად? — ოთარ აფაქიძე, მერაბ ჯიჯავაძე, გურამ ნემსაძე, შოთა ვადაჭკორია, ლევან ინწკირველი და კარენ აგაჯანოვი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი პირველი გასვლა იყო საკავშირო სარბიელზე, ურიგოდ არ გვიასპარეზია და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემდეგ მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ტრადიციულად, ბალტიისპირელები კარგ კალათბურთელებად ითვლებოდნენ, ომამდე ევროპულ პირველობებშიც იღებდნენ მონაწილეობას, ტანადებიც იყვნენ და ეხეც ხელს უწყობდათ.

ერთი წლის შემდეგ, მოსწავლეთა შორის საკავშირო პირველობა ოდესაში გაიმართა. ამ დროს, ალექსანდრე ელენსკი აღარ ედგა გუნდს სათავეში, (სამწუხაროდ, იგი შემდეგ დაბრუნდა ლენინგრადში, ცხოვრება ვერ ააწყო, ეს უდავოდ ნიჭიერი ადამიანი გალოთდა და დაიღუპა). ოდესაში ახალი მწვრთნელი შოთა მესხი წაგვყვა, რომელსაც ბიჭები ბიძია კიჭის ვეძახდით. ლენინგრადში ჩვენი მთავარი „კოზირი“ ტემპი იყო, მაგრამ ბალტიისპირელებმა იქ იმ ტექნიკურ ფანდს მიმართეს, „ბლოკირებას“ რომ ვეძახით. ამით ძალიან დაგვაბნიეს. მთელი წელიწადი „ბლოკის“ საწინააღმდეგო ილეთებს ვამუშავებდით და ოდესაში აღარ მივეცით ამ ილეთის გამოყენების საშუალება. მაშინ ოცდაათი წამის წესი არ არსებობდა, და, თუ ბურთი ბალტიისპირელებს ჩაუვარდებოდათ ხელთ, დიდხანს ათამაშებდნენ ხოლმე, ტემპი დაბალი ჰქონდათ, ჩვენ კი, ბურთს ჩავიგდებდით თუ არა ხელში, გადავდიოდით მეტოქის ნახევარზე და ისე სწრაფად ვუტევდით, მოწინააღმდეგე ვერ ასწრებდა იერიშის ჩაშლას. აი, ამ ტაქტიკურმა სვლამ გაგვხადა ჩემპიონები მე, ოთარ აფაქიძე, გივი რუხაძე, ნოდარ გიორგობიანი, დათო გოძიაშვილი, გუგა ზაქარიაძე, ვაჟა გვანცელაძე, თენგიზ მეძმარიაშვილი, და გივი საყვარელიძე. ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში ეს უდიდესი გამარჯვება იყო. დაგვირიგეს ვეებერთელა მაჯის საათები. საშინელი ხმა ჰქონდა, მაგრამ მაინც გვიხაროდა — ჩვენი თანატოლებისთვის ხომ ასეთი ნივთი სანატრელი იყო. ამ დროისათვის უკვე უნივერსიტეტის სტუდენტები გახლდით. მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ თუ არა, ოდესაშიც გავემგზავრეთ, ასე რომ, სტუდენტობა ჩემპიონობით დავიწყეთ.

**● თქვენი თაობის ხალხისგან გამიგია, ამ დროს უნივერსიტეტი სპორტით ხუნთქავდაო. რექტორიც, ბატონი ნიკო კეცხოველი, მოწყალე თვალით უყურებდა სპორტს...**

— უნივერსიტეტის პერიოდი მართლაც საინტერესო იყო. სპორტს დიდ ყურადღებას აქცევდა ბატონი ნიკო, განსაკუთრებულ სიმპათიას კი კალათბურთის მიმართ იჩენდა. ხშირად, რესპუბლიკის გარეთ გამართულ თამაშებზეც ჩამოდიოდა ხოლმე. მაშინ თბილისს კალათბურთელთა რამდენიმე კარგი გუნდი ჰყავდა, ერთ-ერთი უნივერსიტეტისაც იყო. სწორედ ამიტომ, ჩავაბარე იქ, გეოლოგიის ფაკულტეტზე. თორემ, ვიდრე მეთერთმეტე კლასში ვიყავი, მოდიოდნენ სხვადასხვა ინსტიტუტების გუნდების მწვრთნელები და „მათ“ სასწავლებლებში ჩარიცხვას გვპირდებოდნენ, ოღონდ მათი გუნდის ღირსება დაგვეცვა... ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ. იმდროინდელი უნივერსიტეტი მაინც სულ სხვა იყო: ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, ჩვენც, კალათბურთელებს, ადვილად გვცნობდნენ, რამდენჯერ ახლაც ქუჩაში ან სუფრაზე შემხვედრია ვინმე, თითქოს უცნობი, და მეკითხება: თქვენ უნივერსიტეტში სწავლობდით? — კი, ვპასუხობ, კალათბურთს თამაშობდით, ხომ? — მოსდევს შემდეგი კითხვა. აი, ასეთი პოპულარულები ვიყავით მაშინ. ჩვენი სავარჯიშო მოედანი პირველ და მეორე კორპუსებს შორის მდებარეობდა. გრაფიკით ვარჯიში დღეგამოშვებით გვქონდა, მაგრამ, როგორც კი დროს ვიპოვიდით, მაშინვე ბურთს ავიღებდით ხოლმე ხელში. ვიღაცას ლექცია უცდებოდა, ვიღაც თვითონ აცდენდა, და ჩვენც ყოველი ვარჯიშის ჩატარება მაყურებლის თანდასწრებით გვიწევდა.

საუნივერსიტეტო სპარტაკიადები კი განსაკუთრებული რამ იყო: მოდიოდნენ მოწვეული სტუმრები, რაღაც ამაღლებული განწყობილება მეფობდა. თბილისის სტუდენტობა ამ დღეებით ცხოვრობდა. პოლიტექნიკურის სტუდენტები აცდენდნენ ლექციებს და ჩვენს ასპარეზობას ადევნებდნენ თვალს. ბოლოს, მათმა რექტორმა დაურეკა კეცხოველს და საშეჯიბრებო საათების გადაწევა სთხოვა, ლექციები მეშლებაო.

**● ამ დროს თვითშემოქმედების ხალამოებიც მოდაში იყო...**

— როგორც სპორტში, აქაც გეოლოგები და ეკონომისტები გამოირჩეოდნენ. ეკონომისტები თავიანთი „ყორჩი“ ჰყავდათ — ნოდარ დუმბაძე, რომელიც მათ ტექსტს უწერდა ხოლმე. სამაგიეროდ, ჩვენ მუსიკაში ვჩაგრავდით, გია ყანჩელი გეოლოგის დიპლომიანი კომპოზიტორია. ყიურიში კი რექტორთან ერთად ცნობილი პიროვნებები შედიოდნენ.

საერთოდ, უნივერსიტეტი სხვანაირი იყო: უფრო უშუალონი ვიყავით, უფრო მეგობრულნი, უფრო ცოდნას მოწყურებულნი. როგორ შეიძლებოდა გაგვეგო, რომ ლექციას კოტე ბაქრაძე კითხულობდა და ჩვენ მას არ დავსწრებოდით, ან როცა დისერტაციის დაცვისას ოპონენტი შალვა ნუცუბიძე იყო, იქ ხომ ნამდვილი დაცვა იქნებოდა და ყველანი დარბაზში შევლაგდებოდით ხოლმე. იყო შემთხვევები, ფილოლოგები და ისტორიკოსები ჩვენს ლექციებს ესწრებოდნენ. ძალიან მწყდება გული, შემდეგ თაობებს, რომლებმაც უნივერსიტეტი დაამთავრეს, ძალიან ცოტა აქვთ გასახსენებელი. მე კი კვლავ იმ მოგონებებით ვსუნთქავ.

**● ხტუდენტური გუნდები დიდი კალათბურთის ბაზა იყო. რესპუბლიკის პირველ გუნდში თამაში ხომ არ შემოუთავაზებიათ თქვენთვის?**

— კი, მეორე კურსზე ვიყავით მე და გივი რუხაძე, გიორგი ავალიშვილმა „დინამოში“ გადასვლა რომ შემოგვთავაზა. გიორგი „დინამოს“ პარალელურად ჩვენს გუნდსაც წვრთნიდა (დინამოელთა მთავარი მწვრთნელი შალვა დიასამიძე იყო). ერთხელ, საპასუხისმგებლო ტურნირის წინ „დინამოს“ ვეთამაშეთ და მოვუგეთ კიდეც, ეტყობა, ამ დროს დაგვადგეს თვალი. მე მაშინვე უარი განვაცხადე, გივი კი გადავიდა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია: ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, სამჯერ — თასის მფლობელი.

**● უარი რატომ თქვით, განა პირველ გუნდში თამაში უფრო პრესტიჟული არ იყო?**

— ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემგან დიდი სპორტსმენი არ დადგებოდა, ამ დროს „დინამო“ ზაფხულის ღამის ცასავით ვარსკვლავებით იყო მოჭედილი: ქორქია, ჯორჯიკია, თორთლაძე, ბახტურიძე, სულაბერიძე, არღანაშვილი და ბევრი სხვა. იქ ჩემი ადგილი არ იყო, სათადარიგო სკამზე უნდა ვმჯდარიყავი გამუდმებით. მე მიყვარდა თამაში, მინდოდა თამაში და ამიტომ დავრჩი უნივერსიტეტში. ისიც იყო, პროფესიონალ სპორტსმენობას არ ვაპირებდი: თან უკვე მოსმენილი მქონდა ჩემი მოძღვრის, პროფესორ ივანე კახაძის ლექციები. ვინც ამ ნათელ კაცს ერთხელ მაინც მოუსმენდა, გეოლოგიას ვეღარ მოშორდებოდა. პირველი კურსის შემდეგ, ექსპედიციაში რომ წამიყვანა, მივხვდი, მოჯადოებული ვიყავი ჩემი პროფესიით. ოცდაცამეტში მამა და ბიძა დამიხვრიტეს. პატარა ბიჭი ორ ბებიასა და დედასთან დავრჩი. მატერიალურად ძალიან მიჭირდა, ჩემი სტიპენდიით ვცხოვრობდი, მაგრამ „დინამოში“, მაინც არ გადავედი, თუმცა უფასო კვება, შეკრებების ფული და, რა ვიცი, კიდევ როგორი პრივილეგია არ მელოდა. მეხუთე კურსის მეორე სემესტრამდე მივდიე სპორტს, შემდეგ ჩამოვშორდი. ბატონმა ვანომ ასისტენტად ამიყვანა და მეცნიერული მუშაობა დავიწყე (ვახტანგ ანანიაშვილი ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერმუშაკია. ი. ჩ.).

**● სპორტს სულ ჩამოშორდით?**

— არა, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვმსაჯობდი კალათბურთში საპასუხისმგებლო ბაჩრიხს. ერთხანს — უნივერსიტეტს - ქალთა გუნდსაც ვწვრთნიდი. ბოლოს მწვრთნელად შალვა დასამიძე იყო და მისი არყოფნისას „პაუზებს“ ვავსებდი ხოლმე (როცა იგი „დინამოს“ მიჰყვებოდა). ვაჟთა მეორე გუნდიც გამიყვანია საასპარეზოდ და ჩემს „შეგირდებს“ პირველი ადგილიც დაუკავებიათ, მაგრამ არც ამ საქმეს გავყოლივარ ბოლომდე. ხშირად ვმონაწილეობდი აკადემიადებში, რომლებიც აკადემიის ინსტიტუტებს შორის იმართებოდა, მაგრამ ეს უკვე ვეტერანთა თამაშს ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ვიყავით, ისეთი სპორტული ენინ აღარ იგრძნობოდა, აქტიურ სპორტს სტუდენტობასთან ერთად დავშორდი, შემდეგ ისე, სიამოვნებისა-ვის თუ ძივდევდი.

**● ძველებს ხშირად არ მოსწონთ ახალი თაობა. თქვენ რა განსხვავებას ხედავთ თქვენი დროის და თანამედროვე ახალგაზრდობას შორის?**

— ახლა ძალიან ხშირად ვიგებთ სამწუხარო ცნობებს, ბიჭებმა ერთმანეთი დაჭრეს, ერთმა ახალგაზრდამ მეორე მოკლაო... ნარკომანიაც ძალიან შემოგვეჭვია, ქურდობაც გახშირდა. ჩვენს დროს იარაღს ჯიბითაც არ ატარებდნენ. ვჩხუბობდით, როგორ არა, მაგრამ — მუშტით, მკლავით, ვაჟკაცურად და ეს ბრძოლა იყო რაინდული. სკოლა ისე დავამთავრე, ერთი შემთხვევა არ მახსოვს, ვინმე მოეკლათ. უბანს ჰყავდა თავისი პირველი ყორი. ასეთები იყვნენ თენგიზ კეკელიძე და დოდო აბაშიძე — ვერაზე, ვახტანგ ქოქიაშვილი — № 1 ვაჟთა სკოლაში. ჩვენს დროს ნდობა იყო, ურთიერთგაგება, კარგიც ბევრი აქვს ახალ თაობას, მაგრამ მე ნაკლზე გავამახვილე ყურადღება, რასაც ყველამ ერთად უნდა ვუმკურნალოთ.

**● სპორტის ესა თუ ის სახეობა ადამიანს რაიმე დადებით თვისებას მატებს. რა შეგძინათ კალათბურთმა?**

— სპორტის ისეთი სახეობები, რომლებშიც გუნდური ასპარეზობა იმართება, ყველა ადამიანში მეგობრობას, ერთმანეთის გატანის უნარს, გაჯირვებულის დახმარების გრძნობას, კაცობას აღვივებს. ასეთია კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი და, განსაკუთრებით ალპინიზმი, სადაც გუნდის ყოველი წევრის ბედი მეორეზეა მინდობილი.

**● შვილები თუ გაჰყვნენ თქვენს კვალს?**

— ბიჭებმა ვერ დაუდეს გული სპორტს, ნინიკო კი პატარაობიდან საკმაოდ სპორტული ბავშვი იყო, მოუსვენარი, ანკი. ერთხელ მირიან თოფჩიშვილი გვესტუმრა, ძველი კალათბურთელი. ნინოს ჰკითხა, აბა, რა შეგიძლიაო. შეიძდგა ორი სკამი, დაეჭინა ხელებით და ფეხებით კუთხე „დაიჭირა“, დგას ასე და ესაუბრება სტუმარს. ნინიკო, არ დაიღალეო? —ეკითხება მირიანი. ჯერ არაო. ასე, ათი წუთი შეეძლო ამ მდგომარეობაში ყოფილიყო. ექვსი წლის რომ გახდა, ფიგურულ ციგურაობაზე მივიყვანეთ. მანამდე ყინულზე არასდროს მდგარა. ციგურები ფეხზე მოირგო და, როცა მასწავლებელმა უთხრა შეგირდებს, გადადით ყინულზე, მწკრივში ჩადექით და დამელოდეთო, ნინო გადავიდა და... გასრიალდა კიდეც. დღის ბოლოსათვის უკვე კარგად სრიალებდა. ბოლომდე არ გაჰყოლია ფიგურულ სრიალს. მისმა ქორეოგრაფმა ალა დვალმა გვირჩია, ბალეტზე წაიყვანეთო და ჩვენც მივანებებინეთ თავი. ისე, სპორტს რომ გაჰყოლოდა, არ მეეჭვება, დიდ წარმატებებს მიაღწევდა საერთოდ, ძალიან უშიშარია. ცურვა ჯერ კიდევ არ იცოდა, მაგრამ ზღვაში შევიდა თუ არა, სიღრმისკენ გაუწია გულმა. მოსკოვში რომ გადავიყვანეთ, მარტო ბრუნდებოდა დიდი თეატრიდან შინ. არადა, ცამეტი წლისა იყო, ისეთი ჩებნელებული ხეივანი უნდა გაევლო, მე მეშინოდა...

დიდხანს საუბრობდა მამა შვილზე — სხვა საყვარულით, სხვა სითბოთი, რაღაც განსაკუთრებულად. აკი, თქვა კიდეც: ნინიკო ჩემი სისუსტეაო. მეც, ნაწილობრივ ამისრულდა ის ძველი ნატვრა, ბელინსკის ქუჩაზე გამომავალი ძველი აივნის ცქერისას რომ არ მასვენებდა.

ესაუბრა ᲘᲜᲒᲘᲐ ᲩᲐᲮᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

აი, გამარჯვებული გუნდიც — საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა ნაკრები. მარცხნიდან — მწვრთნელი შოთა მესხი, ოთარ აფაქიძე, დათო გოძიაშვილი, ვაჟა გვანცე ლაძე, ნოდარ გიორგობიანი, გივი რუხაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, თენგიზ მეძმარიაშვილი და ვახილ აზნა ურაშვილი.

# იქნებ ჩვენ 81-ე ვიყოთ?!

**14 მარტს გაიმართება საქართველოს ინვალიდთა ფიზიკულტურულ-სპორტული ფედერაციის რიგგარეშე კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება მსოფლიო ორგანიზაციის „სპეშიალ-ოლიმპიკსის“ რესპუბლიკური კომიტეტის დაფუძნებას.**

**„სპეშიალ ოლიმპიკს“ — ეს საერთაშორისო სამოყვარულო ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ბუნებრივი შეძლებლობების სრულად წარმოჩენა-განვითარებას. ორგანიზაცია არ ითვალისწინებს პონორარებს სპორტსმენებისა და მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის. უფასოა შეჯიბრებებზე მაყურებლთა დასწრებაც. მთელი მისი „პონორარი“ ბუმანურობა და ქველმოქმედებაა. მსოფლიოში ასეთ მოსალისეთა რაოდენობა 500.000 ადამიანს შეადგენს. ისინი არა მარტო იზიარებენ, არამედ ენერგიული საქმიანობითაც ადასტურებენ სპორტისადმი სიყვარულსა და ერთგულებას.**

„სპეშიალ-ოლიმპიკსი“ თავის რიგებში აერთიანებს სპორტსმენებს 8 წლის ასაკიდან. მნიშვნელობა არა აქვს მათი სპორტული მომზადების დონესა და შესაძლებლობებს. სპორტსმენთათვის საუკეთესო ჯილდოა თვით შეჯიბრებაში მონაწილეობის ფაქტი. ამ ორგანიზაციის არსებობა, თავისთავად, იმედის ნაპერწკალს უღვივებს 250 მილიონ გონებრივი პათოლოგიის მქონე, ადამიანს, ეხმარება მათ მშვენიერების შემეცნებაში.

საქართველოს ინვალიდთა ფიზიკულტურულ-სპორტული ფედერაციის და ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის ინიციატივით, საქართველოს პროფკავშირების სპონსორობით, დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთ კარში შარშან, ივლისა-აგვისტოში ,,მოეწყო სანატორიული ტიპის ფიზიკულტურულ-გამჯანსაღებელი ბანაკი გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის. შეარჩიეს ოლიგოფრენიის სხვადასხვა ფორმით დაავადებულნი (გარდა დაავადების ძალიან მძიმე ფორმის მქონე ბავშვებისა, ვინაიდან ისინი თავიანთი გონებრივი მონაცემებით ვერ შეძლებდნენ განსაზღვრული პროგრამის ათვისებას სწავლების დროის სიმცირის გამო). დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კეთილსასურველ გარემოში, სწორი ფიზიკური და სულიერი აღზრდის პრინციპების გამოყენებით, ამ ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების ფარგლებში შეასრულონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და შეიმეცნონ თავიანთი შრომის სოციალური მნიშვნელობა. მათი დღის რეჟიმი ორჯერადი ფიზიკულტურული ვარჯიშებისაგან შედგებოდა.

ბანაკში ჩასვლის მეორე დღესვე ჩავატარეთ საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება, შემდეგ კი მოვახდინეთ ტესტირება. ბავშვების ფიზიკური შრომისუნარიანობის, ვესტიბულარული გამძლეობის, მოქნილობის დასადგენად.

საწვრთნელი ციკლის ოცდამეორე დღეს განმეორებით ჩავატარეთ გამოკვლევები. მიღებულმა შედეგებმა დაგვარწმუნა, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან ფიზიკური ვარჯიშებით სისტემატურად მეცადინეობის მიზანშეწონილობაში, რადგან ფიზიკური შრომისუნარიანობა ბიჭებში გაიზარდა საშუალოდ 2,29 ერთეულით, ხოლო გოგონებში — 2,66-ით. საწყის მონაცემებთან შედარებით. მათ მკვეთრად მოემატათ ხელის მტევნის ძალა, გაუუმჯობესდათ მოქნილობისა და ვესტიბულარული გამძლეობის მაჩვენებლები. არ ყოფილა გაცივებითი დაავადებების შემთხვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მიგვაჩნია, რომ გონებრივად ჩამორჩენილი და პატარობიდან ინვალიდი ბავშვებისათვის ფიზიკულტურულ-გამჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკების მოწყობა ფსიქო-ფიზიკური რეაბილიტაციის საუკეთესო ფორმაა.

ამ მიზნით, აუცილებელია გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან მომუშავე ყველა სასწავლო-აღმზრდელობით სასწავლებლები დაუშვან ფიზიკური კულტურის სპეციალისტის საშტატო ერთეული; შემუშავდეს და დაინერგოს ფიზიკური აღზრდის პროგრამა ბავშვობიდან ინვალიდებისათვის, კერძოდ, კი გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის; ამ სპორტულ-გამჯანსაღებელი ბანაკის მაგალითზე რესპუბლიკაში შეიქმნას ამგვარივე რეგიონალური მნიშვნელობის ბანაკების ფართო ქსელი (გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სიმრავლის გამო); ასეთ ბანაკებში თერაპევტისა და ფსიქონევროლოგის შტატებს დაემატოს ფიზიკური აღზრდის, საექიმო კონტროლის და სპორტული მედიცინის სპეციალისტების შტატებიც; ბანაკის ხარჯთაღრიცხვაში უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე ძიძის შტატიც.

პატარაობიდან ინვალიდთა და სხვა სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს მიკუთვნებულ ბავშვებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებს უნდა ეთხოვოთ, სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების დროის გაზრდა შესაბამისი სპეციფიკური პრაქტიკუმის გასავლელად. ჩვენში საამისო ბაზები არსებობს. მაგალითად, მარტო თბილისში მოქმედებს რვა სკოლა-ინტერნატი და ერთი საბავშვო სახლი; გარდა ამისა, რუსთავში გვაქვს სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი.

პრაქტიკაზე შეიძლება ერთდროულად 10 ბრიგადა გაიგზავნოს. მათი გაგზავნა ბანაკებში შესაძლებელია უკვე მესამე კურსიდან, ცხადია, ფულადი ანაზღაურებით. პრაქტიკის დასასრულს სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს საკურსო სამუშაო და დახასიათება, რაც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ მათ მიერ გაწეული შრომა. ეს კი თავისთავად ხელს შეუწყობს სტუდენტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამასთან, ისინი მიიღებენ მეორე დიპლომს.

რაც შეეხება გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, ამისათვის აუცილებელია სისტემატური ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: შეჯიბრებები კლასებში, კლასებს შორის, სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებს შორის; კონკურსები სპორტის რთული სახეობების ელემენტებისა და ვარჯიშების შესრულებაში. ამისათვის კი აუცილებელია სათანადო მეთოდურ-ტექნიკური ბაზების გამოყოფა, რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია ზემოაღნიშნულის განხორციელება და, აქედან გამომდინარე, მიზნის მიღწევა.

ვისაც შეუძლია გახდეს ჩვენი სპონსორი, გამოგვეხმაურეთ! ინვალიდ ბავშვთა ფონდი მადლობელი იქნება ყველასი, ვინც ჩაერთვება ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

„სპეშიალ ოლიმპიკსის“ საწვრთნელი მუშაობა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. მის პროგრამას მხარი დაუჭირეს მსოფლიო მასშტაბის ლიდერებმა: პაპმა იოანე პავლე II-მ, პრეზიდენტმა ბუშმა, მარგარეტ ტეტჩერმა, იორდანიის დედოფალმა ნორმა, დენ პუფანგამ ჩინეთიდან, ლედი იუდმა ჰონკონგიდან, და სხვებმა. გამოდიოდა ეს, რომ აუცილებელია ჩვენი რესპუბლიკა დარჩება განზე და გამოეხმაურება ამ საქველმოქმედო საქმეს.

დარწმუნებული ვარ, რომ თბილისში საჭიროა სპორტული სკოლა, ბავშვობიდან ინვალიდთათვის. საჭიროა აგრეთვე, მისი ფილიალებისა და მშობელთა კომიტეტების შექმნა.

ჩვენი საქმიანობა უნდა წარიმართოს ინვალიდთა სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებულ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა მოეწყოს მიზნობრივი კურსები მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე.

„სპეშიალ ოლიმპიკსი“ 27 წელია მოქმედებს დასავლეთში, ამიტომ, ჩვენ მისი გამოცდილების შესწავლა გვჭირდება.

ლიუ ჰოლცი — ნოტრ-დამის ფეხბურთელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი წერდა — „ჩემი ცხოვრება მაშინ შეიცვალა, როდესაც დავინახე გამბედაობა, შესაძლებლობა და სიხარული სპორტსმენებისა, აგრეთვე, მათი მწვრთნელების და ოჯახის წევრების სიამაყე. ისე არაფერი გამოხატავს „სპეშიალ ოლიმპიკსის“ იდეებსა და მიზნებს, როგორც ეს სულისკვეთება“.

დიახ, „სპეშიალ ოლიმპიკსმა“ „მოქალაქეობრიობა“ 80 ქვეყანაში მიიღო.

იქნებ ამ რიცხვს 81-ე ქვეყანაც შეემატოს — საქართველო!

**იმედო ფხაკაძე,**

**ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი;**

**ვალენტინ ლაბუნსკი,**

**საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.**

## აქაც „პირველი მერცხლები“

ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩვენში პირველებმა ჩამოაყალიბეს ხელბურთელთა პროფესიული კლუბი — „ოქროს ვერძი“. „ახალშობილს“ დიდი თანადგომა და დახმარება გაუწია ტრესტ „ფოთმშენმა“ (ხელმძღვანელი ჯემალ გურგენაძე). არცაა გასაკვირი, რომ ბატონი ჯემალი კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს. გუნდს ყოველნაირად უდგას მხარში ადგილობრივი პურკომბინატი (დირექტორი უშანგი გეგენავა). ფოთელებმა განიზრახეს არ შემოიფარგლონ ერთი გუნდით და, ორი ასე ვთქვათ, სარეზერვო ჯგუფიც დააარსონ. მომავალში მათ სურთ სპორტული კომპლექსის შექმნა, რისთვისაც უკვე გაკეთდა პროექტი და ადგილიც შეირჩა. იგი არა მარტო ხელბურთელთათვის იქნება განკუთვნილი, არამედ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებისათვისაც.

მაგრამ ყოველივე ეს ხვალინდელი დღეა. ახლა კი აქ მთელი ყურადღება „ოქროს ვერძისკენაა“ მიმართული. ფოთელები მას დიდი იმედით შეჰყურებენ. გასაკვირიც არაა — იგი ხომ ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი ახალგაზრდობით, რომელსაც ხელბურთი შეაყვარა შესანიშნავმა დამრიგებელმა, აწ განსვენებულმა ქეთევან გაგულიამ.

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გუნდმა კარგად ჩაატარა— მოუგო თბილისის ვეტერანთა ნაკრებს, რომელშიც სახელგანთქმული ხელბურთელები: ალექსანდრე ანპილოგოვი, ამბერკი ტაბიძე და სხვანი თამაშობენ. „ოქროს ვერძმა“ სძლია თბილისის „მართვესაც“, მაგრამ დამარცხდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ხელბურთელებთან. ახლა „ოქროს ვერძს“ 6 ქულა აქვს. შომდევნო ტური ფოთელ ხელბურთელთა მონაწილეობით მათ ქალაქში გაიმართება 7 მარტს.

**გელა გიორგაძე,**

**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

## ეს პატარა იუდით პოლგარი

**თუ რაიმე უსიამოვნო მოულოდნელობა არ მოხდა, წელს, ზაფხულში, უნდა გაიმართოს მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩი მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესა და პოპულარულ უნგრელ დიდოსტატ იუდით პოლგარს შორის. ეს მოჭადრაკეები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. პოლგარების „მხრის“ წინადადებით, შეხვედრა 6 პარტიისაგან უნდა შედგებოდეს, მაიას აზრით კი, უმჯობესია, 8 პარტიის თამაში. აქ მოლაპარაკება და შეთანხმება ძნელი არ იქნება, ისე მაიას წინადადებას უპირატესობა უნდა მიეცეს: შეხვედრების მეტი რიცხვი (ფაქტობრივად, მსოფლიო პირველობის მატჩის ნახევარი) უფრო გაარკვევს ხიმართლეს.**

რატომღაც, ქალთა შორის ამხანაგური მატჩები იშვიათია. ძალიან სამწუხაროა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა დიდ ინტერესს არ გამოიწვევდა 6-8-პარტიიანი მატჩები საქართველოს გათქმულ დიდოსტატებს შორის, გნებავთ თბილისსა და ქუთაისში, გნებავთ ბათუმსა და სოხუმში. ვფიქრობთ, ასეთ შეხვედრებს მაყურებელიც მრავლად ეყოლებოდა და სპონსორებიც უდავოდ გამოუჩნდებოდა.

ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დღემდე 6 მოჭადრაკე ატარებდა. აქედან, გვინდა სამი გამოვყოთ: ვერა მენჩიკი, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და მათ დიდი ჩემპიონები ვუწოდოთ. ჩვენ არ ვიცით, გახდება თუ არა ოდესმე მსოფლიო ჩემპიონი იუდით პოლგარი, ჩაებმება ქალთა ბრძოლაში, თუ კვლავინდებურად თავს შეიკავებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია — იგი უცებ შევიდა ისტორიაში, როგორც ლეგენდარული მოჭადრაკე. ძალიან ხმამაღალ ნათქვამად რომ არ გამოგვივიდეს, თვალი გადავავლოთ მის სპორტულ ბიოგრაფიას, ცხადია, ძალიან ხანმოკლეს, მაგრამ უდავოდ მდიდარს.

იუდით პოლგარი დაიბადა ბუდაპეშტში 1976 წლის 23 ივლისს. სოფია (ჟოფიკა) პოლგარი ორი წლით უფროსია მასზე (დაიბადა 1974 წლის 2 ნოემბერს), უფროსი და — ჟუჟა კი მთელი 7 წლით (დაიბადა 1969 წლის 19 აპრილს).

ჟუჟა უკვე კარგად ცნობილი ოსტატი იყო, როდესაც მისი უმცროსი დები მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ საერთაშორისო ტურნირებში. სოფია და იუდითი, სრულიად, პატარები, მშობლებს — ლასლო და კლარა პოლგარებს, დაჰყავდათ ბულგარეთის საკურორტო ქალაქების ფესტივალებზე, ბევრისათვის გართობისა და დასვენების ხასიათს რომ ატარებდნენ. პირველად გოგონებს ყურადღება მიაქცეს, როგორც, უბრალოდ, ჟუჟას დებს, ჟუჟას მაშინ განთქმული დიდოსტატი ლასლო საბო ამეცადინებდა და მსოფლიო ჩემპიონის წოდებასაც ატარებდა გოგონებს შორის. შემდეგ დააკვირდნენ, რომ უმცროსი დებიც საკმაოდ კარგად თამაშობდნენ. 1986 წელს მათი ცოცხალი და საინტერესო თამაში სოფიის ჟურნალმა „შახმატნა მისლამაც“ აღნიშნა. როგორც ბულგარელი მომმხილველები წერდნენ, მალე ჟუჟას კვალდაკვალ, უმცროსი დებიც იტყოდნენ თავიანთ სიტყვას. ამასთან, თუ ჟუჟა ადრე ცოტას მაინც მონაწილეობდა გოგონების ტურნირებში, ლასლო პოლგარმა, ეს უმცროსი დებისათვის სრულიად უსარგებლოდ ჩათვალა. სამაგიეროდ, ისინი სისტემატურად გამოდიოდნენ მსოფლიო

იხ. მე-4 გვ.

## დეგიშტი... საქართველოს ნაკრებში

**იხ,** რომ მკლავჭიდი დღეს ჩვენს ახალგაზრდობაში დიდი ინტერესით სარგებლობს, პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპარტაკიადამაც დაგვანახვა. ტურნირში მონაწილეთა უმრავლესობა სხვადასხვა სახეობის მოჭიდავენი იყვნენ — ძიუდოისტები, სამბისტები, „კლასიკოსები“ და, რა თქმა უნდა, ჩვენი მადლიანი ქართული ჭიდაობის წარმომადგენლები.

არცაა გასაკვირი, რომ გამარჯვებულთა და საპრიზო ადგილებზე გამოსულთა უმეტესობას სწორედ ისინი შეადგენდნენ.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვეს: ელდარ პატარკაციშვილმა (59 კგ), ალეკო გეგელაშვილმა (68 კგ), ლერი გვარლიანმა (80 კგ), თემურ ლომსაძემ (90 კგ) და დათო ელიაშვილმა (+90 კგ).

აბსოლუტური ჩემპიონის სახელისათვის გვარლიანმა დაამარცხა გეგელაშვილი, ხოლო ელიაშვილმა — ლომსაძე. ფინალში გვარლიანმა სძლია ელიაშვილს და პირველ ადგილზე გავიდა. 18 წლის ლერი გვარლიანი მიიწვიეს საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრებში.

**რამინ ყურაშვილი,**

**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ჯერჯერობით ბაჯო

იტალიური ჟურნალი „გუერინ სპორტივო“ ყოველწლიურად აჯილდოებს სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს. მონაცემები წლის განმავლობაში რამდენჯერმე ქვეყნდება, შემდეგ კი ეიური საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. ჯერჯერობით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების წევრს რობერტო ბაჯოს აქვს.

### დაითხოვეს... მთელი ნაკრები

ეთიოპიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, გახთავისუფლებულია არა მარტო ნაკრების მწვრთნელი, არამედ დათხოვნილია... მთელი ნაკრებიც! მათ არ აპატიეს შესარჩევი მატჩის წაგება აფრიკის პირველობაზე.

### კუბალა — ნაკრების მწვრთნელი

წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი ლადისლაო კუბალა, რომელსაც სხვადასხვა დროს უთამაშია ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ესპანეთის ნაკრებების შემადგენლობაში, არაერთი სეზონია, ესპანეთის სხვადასხვა საკლუბო გუნდებს უდგას სათავეში.

ახლა კუბალა დაინიშნა ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელად. ეს გუნდი მან ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადისთვის უნდა მოამზადოს.

### იტალიის ფარგლებს გარეთ

გენუის „სამპდორიამ“ იუგოსლავიელი სპეციალისტის ვუადინ ბოშკოვის ხელმძღვანელობით ამ ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. იტალიის ფარგლებს გარეთ უკვე არსებობს „სამპდორიის“ გულშემატკივართა 9 (!) კლუბი, მათ შორის კამერუნში, საბერძნეთში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში.

# ეს პატარა იუდით პოლგარი

(დასასრული)

ჩემპიონატში მოზარდებსა და ჭაბუკებს შორის. 10 წლის იუდითმა, მაგალითად, 1986 წელს პუერტო რიკოში 14 წლამდე ჭაბუკების მსოფლიო ჩემპიონატში მეორე-მესამე ადგილები გაიყო, რაც, ცხადია, გარკვეული მიღწევა იყო. ამ დროიდან მოყოლებული იუდითი, უმეტესად სოფიასთან ერთად, ზოგჯერ კი მარტო, მონაწილეობდა უჯუთა სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირებში და, როგორც წესი, ჩინებულ შედეგებს აღწევდა. ერთი სიტყვით, ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა მეტად ნიჭიერ მოჭადრაკესთან.

გარდა სპორტული შედეგებისა, იუდითი ყურადღებას იპყრობდა თამაშის მანერითაც. თუ ჟუჟა სტილით ჩამოჰგავს პორტიშს (მრავალი წლის მანძილზე უნგრელი ძოჭადრაკეების ნამდვილი კერპი რომ იყო), თამაშობს მეტად თავშეკავებულად, მტკიცედ ემყარება ფრიად სოლიდურ სადებიუტო რეპერტუარს, უმცროსი და, როგორც მოჭადრაკე, სულ სხვანაირია. იგი გაცილებით უფრო ცოცხლად, ენერგიულად ძოქმედებს; არ ერიდება შეწირვებს. „წვავს“ უკანდასახევ „ხიდს“. ასეთმა სათამაშო მანერამ იუდითს უამრავი გულშემატკივარი შესძინა და ახალგაზრდა ფიშერსაც კი შეადარეს. საინტერესოა, რომ იუდითმა დაიწყო თითქმის სრულიად მივიწყებული შეფის გამბიტის გამოყენება. ეს რომანტიკული დებიუტი ამ ბოლო 40 წლის მანძილზე მხოლოდ დავით ბრონშტეინს და ბორის სპასკისთან თუ გვხვდებოდა და ისიც მეტად იშვიათად. იუდითმა შეფის გამბიტში, ანდერსენისა და ჩიგორინის საყვარელ დებიუტში, ახალ იდეებს მიაგნო, მას, ასე ვთქვათ, თანამედროვე ხასიათი მისცა, ალბათ, ანდერსენი საფლავში გადაბრუნდებოდა, მეფის გამბიტიდან პირდაპირ... ენდშპილში გადაყვანილი პოზიციები რომ ენახა!

1988 წლიდან მოყოლებული, იუდით პოლგარი მთელ მსოფლიოში ფრიად პოპულარული მოჭადრაკე გახდა, უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის მთავრობის დახმარებით, გატეხა ლასლო პოლგარის წინააღმდეგობა, თავი თანამედროვე „პესტალოცად“ რომ წარმოუდგენია! ხომ თვლის ლასლო პოლგარი, რომ პედაგოგიკის საიდუმლოებებს მაგნო, ჭადრაკში კი ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გოგონების მოჭადრაკე ქალებთან შეხვედრა სრული უაზრობაა, მათ არაფერს მატებს. დიახ, ასე იყოსო, უთხრეს გაჯიუტებულ მამას, მაგრამ ერთხელ მაინც დაათმობინეს და სამივე დამ სალონიკაში ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა. გუნდის მეოთხე მონაწილე იყო ახალგაზრდა დიდოსტატი ილდიკო მადლი.

და აი, შედეგებიც: პირველ დაფაზე ჟუჟამ სოლიდურად და ზტკიცედ ითამაშა, სოფიამ მესამეზე — სუსტად და ხშირად მადლი ცვლიდა. სამაგიეროდ, ფანტასტიკურ შედეგს (12,5 ქულა ცამეტიდან, ერთ დღეს ისვენებდა) მიაღწია იუდითმა, რომელსაც მეორე დაფაზე წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა. ერთადერთი, ვინც გადაურჩა, ირინა ლევიტინა იყო და მასთანაც უნგრელს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. საბოლოოდ, სწორედ იუდითის შედეგმა მოუტანა უნგრეთის ნაკრებს ოლიმპიური ჩემპიონის წოდება. ქართველი მოჭადრაკეებიდან ამ შეჯიბრებაში მხოლოდ მაია ჩიბურდანიძე მონაწილეობდა. მართალია, ზოგი მიმომხილველი წერდა, რომ უნგრეთის ნაკრები შემთხვევით გახდა ჩემპიონი, რომ იგი ძალით არ აღემატებოდა საბჭოთა ნაკრებს. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც საბჭოთა ნაკრები აღემატებოდა უნგრელებს.

აი, ამ დროიდან კი უმცროსმა პოლგარმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. მას ქალთა დიდოსტატისა და ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდებები მიენიჭა, 1988 წლის სეზონის შედეგებისათვის კი — საჭადრაკო „ოსკარი“.

თვალყური ვადევნოთ იუდითის

**აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მეუღლითურთ და დები პოლგარები — ჟუჟა, იუდითი და სოფი.**
**ფოტორეპროდუქცია ჟურნალიდან „შახველეტი“ (უნგრეთი)**

რეიტინგის ცვლილებებსაც. მსოფლიო საუკეთესო მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტში“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) ის და მისი და სოფია 1986 წლის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ. ამ დროს ჟუჟას მაჩვენებელი იყო 2495 (მაია ჩიბურდანიძის — 2530), იუდითის — 2355, სოფიასი — 2280. შემდეგ ეს მონაცემები ასე იცვლებოდა: 1987 წ. პირველი ნახევარი ჟუჟა — 2485 (მაია — 2550), იუდითი — 2355, სოფია — 2315. 1987 წ. მეორე ნახევარი: ჟუჟა — 2475 (მაია — 2560), იუდითი — 2320, სოფია — 2320. 1988 წლის პირველი ნახევარი: ჟუჟა — 2465, (მაია — 2555), იუდითი — 2490, სოფია — 2345. ოლიმპიადაზე გასაოცარი მიღწევის შემდეგ იუდითი ქალთა შორის პირველ ადგილზე გავიდა, მისმა მაჩვენებელმა 2555-ს მიაღწია (მაია — 2520), ჟუჟას ამ მომენტისათვის 2510 ქულა ჰქონდა, სოფიას მაჩვენებელი, გასაგებია, გაუარესდა და 2295 გახდა.

გავაგრძელოთ ჩვენი „ბუღალტერია“: 1989 წლის პირველი ნახევარი: იუდითი — 2555 (მაია — 2495), ჟუჟა — 2520, სოფია — 2335 (რომის ვაჟთა ტურნირში დიდი წარმატების შემდეგ); 1989 წლის მეორე ნახევარი: იუდითი — 2550 (მაია — 2470), ჟუჟა — 2500, სოფია — 2410; 1990 წლის პირველი ნახევარი: იუდითი — 2550, (მაია — 2470), ჟუჟა — 2500, სოფია — 2410, და ბოლოს, 1990 წლის მეორე ნახევარი (ე. ი. ამჟამად მოქმედი კლასიფიკაცია): იუდითი — 2540, (მაია — 2480), ჟუჟა — 2510, და სოფია 2425.

ჩვენ ძალიან შორსა ვართ რეიტინგის კოეფიციენტის გაფეტიშებისაგან, მაგრამ იგი, ეტყობა „რაღაცას“ ნიშნავს!

1988 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული, იუდითი, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ თამაშობს. 1989 წლის გაზაფხულზე თავის პრაქტიკაში პირველ საკმაოდ სუსტი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირში ესპანეთში დაიკავა... ბოლო ადგილი; სისტემატურად მონაწილეობს ნიუ-იორკის ცნობილ ფესტივალში; თავი ისახელა ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში ვაჟთა შორის, სადაც პირველ ადგილზე გავიდა და ძირითად, დიდოსტატთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო; გაიმარჯვა პასტინგრის მეორე, ე. წ ჩელენჯერ-ტურნირში, აქაც მიიღო შემდეგ წელს დიდოსტატთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება, მაგრამ ამით არ უსარგებლია. 1989 წლის შეჯიბრებებიდან უნდა აღინიშნოს მატჩი ჰოლანდიაში როტერდამის „უოლმარკა“ და „ჰსგ ეინდჰოუენს“ შორის. ცნობილმა ჰოლანდიელმა ფირმა „ფილიპსმა“ დებს „ეინდჰოვენში“ თამაშისათვის 100 ათასი დოლარი გადაუხადა. პირველ დაფაზე მეტად მძაფრი შეტევების შემდეგ იუდითსა და ვიქტორ კორჩნოის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, რამაც ვეტერანი ძალიან გააბრაზა.

ამასობაში დებმა პოლგარებმა უკვე მოიარეს მთელი მსოფლიო. იუდითი, სხვათა შორის, თამაშობდა ფონდიულაკში (ამერიკის შეერთებული შტატები), მსოფლიო ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის (14 წლამდე), 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ზაფხულში დებმა ჯერ საბერძნეთის ოლიმპიურ ნაკრებს სძლიეს, შემდეგ იუგოსლავიის საკლუბო გუნდ „ვოივოდინსს“. აქ იუდითი ორჯერ შეხვდა ცნობილ დიდოსტატს პეტაო პოპოვიჩს (რომელთანაც მაიას აქვს მატჩი ნათამაშები — 4:4), ერთი პარტია მოუგო (თეორებით სიცილიური დაცვის წინააღმდეგ) და მეორე წააგო.

ფიდე-მ ჟუჟასა და იუდითს შესთავაზა ყოველგვარი შერჩევის გარეშე მონაწილეობა მიეღო ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც ზორჯომში ჩატარდა. დებმა იფიქრეს, იფიქრეს და... უარი განაცხადეს. ახლა, როდესაც ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ციკლი კვლავ ორწლიანი გახდა, პრეტენდენტთა მორიგი ტურნირი გაისად უნდა გაიმართოს. მასში ისევ მიიწვიეს იუდითი და ჟუჟა. ვნახოთ, შეიძლება გადაიფიქრონ!

ნოემბერში პოლგარებმა ერთხელ კიდევ ითამაშეს ქალთა ოლიმპიადაზე, რომელიც ნოვი სადში (იუგოსლავია) გაიმართა და შეინარჩუნეს ოლიმპიური ჩემპიონობის წოდება. მართალია, ამჯერად დებს შორის როლები შეიცვალა: ბრწყინვალედ ითამაშა დაფაზე სოფიამ — 11,5 ქულა 13-დან (88,4 პროცენტი), პირველი ადგილი. ასევე გაიმარჯვა პირველ დაფაზე ჟუჟამ — 11,5 ქულა 14-დან (82 პროცენტი), იუდითიც პირველ ადგილზე გავიდა მეორე დაფაზე — 10 ქულა 13-დან (76,9 პროცენტი).

ერთი სიტყვით, დები პოლგარები კვლავ „გრგვინავენ“, ამბტომ, მაიასა და იუდითის შეხვედრა, თუნდაც საწვრთნელი, დიდ ინტერესს იწვევს.

ჩვენ არ ვიცით, ვინ მოიგებს ამ მატჩს და ძალიან კარგია, რომ არ ვიცით!.

**გივი გამრეკელი**

## ახალი „ვარსკვლავი“

**ლონდონი** ბარელი კარლ ლუისისა და ბენ ჯონსონს შემდეგ თანამედროვეობის № 3 სპრინტერად ითვლება. იგი საკმაოდ სერიოზული კაცია და წელს აპირებს განმტკიცოს თავისი პოზიციები მძლეოსნობის სამყაროში. საინტერესოა, რომ ჯონსონი ბარელს აშკარად დასცინის და სერიოზულ მეტოქედ არ მიიჩნევს, ლუისი კი, რომელიც მას უკვე ექვსჯერ შეხვდა, მეტად პერსპექტიულ სპრინტერად თვლის.

ლეროი ბარელი, ისევე როგორც მისი უფროსი მეტოქეები, ამერიკელი ზანგია. დაიბადა ფილადელფიაში, 1967 წლის 21 თებერვალს. აღნაგობით უფრო ჯონსონს ჰგავს, ვიდრე ლუისს, დარბის 200 მეტრზეც, რასაც 20 წამს ანდომებს.

ბულგარეთის რეკორდსმენმა 100 მეტრზე რბენაში — პეტრ პეტროვმა (10,31 წამი) ახალ ვარსკვლავზე თქვა, რომ მისი ჩვეულებრივი მაჩვენებელი უნდა იყოს 9,34 წამი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლუისისა და ბარელის შეხვედრები 1989 წლიდან დაიწყო. 25 ივნისს ლილში ლუისმა 100 მეტრი გაირბინა 10,05 წამში, ბარელმა — 10, 11 წამში. 1 ივლისს ლუისმა კვლავ აჯობა მეტოქეს (10,11:10,16), ისევე, როგორც 16 აგვისტოს ციურიხსა (10,9:10,19) და 1 სექტემბერს მონტე-კარლოში (10,30:10,32).

სამაგიეროდ, 1990 წელს ბარელმა ორჯერ დაამარცხა ლუისი: 23 ივლისს სიეტლსა (10,05:10,08) და 7 სექტემბერს ათენში (10,04:10,12).

# ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**ა/წ. 18-22 აპრილს ქუთაისში ჩატარდება საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი ნარდში (საერთაშორისო წესებით).**

ქუთაისის ფინალურ ტურნირში განზრახულია 128 მონარდის მონაწილეობა. მასში პირდაპირ დაუშვებენ მაღალი რეიტინგის მქონე 28 მონარდეს. დანარჩენი 100 მონაწილისთვის ჩატარდება წინასწარი შვსარჩევი შეხვედრები ქალაქებში: თბილისში, ოზურგეთში, ბათუმში, ფოთში, თელავში, რუსთავში.

ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველებს სხვა ქალაქებიდან უფლება აქვთ გატარდნენ რეგისტრაციაში ზემოაღნიშნულ ქალაქებში. რეგისტრაცია დაიწყო 5 მარტს და დამთავრდება 31 მარტს. შეხვედრები გაიმართება 2 აპრილიდან 10 აპრილს ჩათვლით.

რეგისტრაციაში გატარდებიან მხოლოდ საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის (სნეფ-ი) წევრები. სნეფ-ის წევრად გახდომის შესატანი თანხა 50 მანეთია, ხოლო ტურნირში მონაწილეობის მიღებისათვის — 100 მანეთი.

რეგისტრაცია ჩატარდება:

1. თბილისი — ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, კოსტავას ქ. № 36.
2. ქუთაისი — ჭადრაკისა და ნარდის კლუბი, წერეთლის ქ. №10
3. ოზურგეთი — სპორტკომიტეტი, ყდანოვის ქ. № 27.
4. ბათუმში — ტურისტული ბაზა, ნინოშვილის ქ. №39.
5. ფოთი — სპორტკომიტეტი, ცხაკაიას ქ. №6.
6. თელავი — სპორტკომიტეტი
7. რუსთავი — ჭადრაკის კლუბი, კოსტავას ქ. № 1.

ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ თანამშრომლებს გაუწევენ სპონსორობას, შეუძლიათ, თანხა ჩარიცხონ სნეფ-ის ანგარიშზე №000609375, ბინსოცბანკის თბილისის მთაწმინდის განყოფილებაში.

შესარჩევი ტურნირიდან ძირითად ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა დამოკიდებულია რესპუბლიკაში მთლიანად და ქალაქში რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობაზე, რომელიც შესარჩევი ტურნირის ჩამტარებელ ქალაქს ეცნობება ტურნირის დაწყების წინ.

თუკი რომელიმე ქალაქი გამოთქვამს შესარჩევი ტურნირის ჩატარების სურვილს, გთხოვთ მათმა წარმომადგენელმა მიმართოს საორგანიზაციო კომიტეტს: თბილისი, 9 აპრილის ქ. №8. ტელ. 93-71-87 ან 98-70-11, 12 მარტამდე.

გრძელი ნარდის ტურნირში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ რეგისტრაციაში გატარდნენ ქუთაისში 15-17 აპრილს. შესატანი თანხა უცვლელია.

საქართველოს ჩემპიონს მოკლე ნარდში გადაეცემა პრიზი და ის თანხის შეტანის გარეშე მიიღებს მონაწილეობას დიდ საერთაშორისო ტურნირში — „ჯორჯიენ ინტერნეიშნელში“, რომელიც მომდინარე წელს გაიმართება საქართველოში და შესატანი თანხა 1000 დოლარი იქნება;

II-III ადგილებზე გასულები დაჯილდოვდებიან პრიზებითა და ფულადი თანხით. IV-VIII ადგილებზე გასულნი — ფულადი თანხით.

გრძელ ნარდში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ანალოგიური წესით.

რაიონებმა შესაბამისი განცხადება უნდა გამოაქვეყნონ რაიონულ გაზეთებში.



**ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**
**(ა. წერეთლის ბაზრი, № 2)**

16 მარტი • შეხვედრა

1991/1992 წ. წ.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**
(სეზონის გახსნა)

„იბერია“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი)

**დასაწყისი 16 საათზე**

მატჩის დამთავრების შემდეგ ჩატარდება ნივთების ლატარია, გათამაშდება იტალიური ფირმა „ფიატის“ უკანასკნელი მოდელის — „ტიპოს“ 5 ავტომანქანა

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში ყოველდღე დილის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

**„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ს. კოტოვის, 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 98-97-55**
**ხელმძღვანელი — 98-97-52**
**ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.**
**„ფერანი“ — 98-97-26, „მარტვა“ — 98-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლელოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ს. კოტოვის, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის, 29.**

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20